# ტექნიკური დავალება

# ხე მცენარეების გაკაფვის სამუშაოებზე

**1. საერთო მონაცემები**

| | | |
|---|---|---|
| 1.1 | სამუშაოს ტიპები | • ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განსაზღვრული, აღრიცხული ხე-ტყის მოჭრა;<br>• მოჭრილი ხე-ტყის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სახით დამზადება (დაკოტრვა და ა.შ);<br>• მოჭრილი ხე-ტყის დასაწყობება ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეოსთან შეთანხმებულ ადგილას;<br>• მოჭრილი ხეტყის ჩაბარება ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეოსთვის |
| 1.2 | დამკვეთი. | სს RMG Copper |
| 1.3 | ობიექტი | მადნეულის კარიერის მიმდებარედ |
| 1.4 | რაიონი, პუნქტი, დანიშნულების ადგილი | ბოლნისი, დაბა კაზრეთი, ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანი, კაზრეთის სატყეო, კვარტალი N23, ლიტერი NN13, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 28, 31, 33 და ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანი, კაზრეთის სატყეო, კვარტალი N25, ლიტერი NN2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 13, 14, 21, 24 (საერთო ფართობი - 101,2148 ჰა) |
| **2. საწყისი მდგომარეობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის** | | |
| 2.1 | სამუშაოს მოცულობა | მოსაჭრელი ხე-ტყის სრული მოცულობა 3502.11 $მ^3$ (შეიძლება შეიცვალოს ადგილზე გამოვლენილი გარემოებების გამო) |
| 2.2 | სამუშაოების არეალი | კონკრეტულად განისაზღვრება დამკვეთის მიერ კონტრაქტორთან შეთანხმებით |
| 2.3 | მონაცემები ნედლეულის ბაზაზე | ტყეკაფის პასპორტი და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია |
| 2.4 | ენერგიით მომარაგების წყაროები (სითბო, ელექტროენერგია, კომპრესირებული ჰაერი, გაზი), წყალი | არ არის საჭირო. |
| 2.5 | ტექნიკური პირობები: | • სამუშაოების მოცულობები დამკვეთს ჩაბარდება ქვემო ქართლის სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებით; |

| | | |
|---|---|---|
| | | • ტყითმოსარგებლე ვალდებულია:<br>• დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო წესები, ხოლო ხანძრის შემთხვევაში მიიღოს ყველა ზომა მის სალიკვიდაციოდ;<br>• თავისი საქმიანობით ხელი არ შეუშალოს ტყის მოვლისა და დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;<br>• არ გამოიყენოს ტყითსარგებლობისათვის გადაცემული ქონება ტყითმოსარგებლესთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საქმიანობის საწარმოებლად;<br>• არ გადასცეს ტყითსარგებლობისთვის გამოყოფილი ქონება სხვა პირს;<br>• უზრუნველყოს ქონების მოვლა - პატრონობა;<br>• ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის ჭრის ადგილზე დახარისხების შემთხვევაში ტყითმოსარგებლე ვალდებულია განახორციელოს სამასალე მერქნული რესურსის დაუკოტრავი სახით, ხოლო საშეშე მერქნული რესურსის - დაკოტრილი სახით ტრანსპორტირება და სახეობების მიხედვით დასაწყობება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს ამავე სამსახურს მიღება - ჩაბარების აქტით. მერქნული რესუსრის გამოტანა და დასაწყობება უნდა განხორციელდეს ფაქტობრივად ჩატარებული ჭრების მიხედვით, ეტაპობრივად, ათი დღის ვადაში;<br>• ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად. |
| 2.6 | საწარმოს მუშაობის რეჟიმი | უწყვეტი, 10 სთ სამუშაო დრო. |
| 2.8 | სხვა პირობები | პერსონალის ტრანსპორტირება, კვება და სოციალური საკითხები კონტრაქტორის პასუხისმგებლობით |
| **3. ძირითადი მოთხოვნები** | | |
| 3.1 | პროექტის განყოფილებები | |

| | | |
|---|---|---|
| | ანგარიშის ფორმატი | ყოველდღიური აღრიცხვის ანგარიში დამკვეთთან, ყოველკვირეული ანგარიში დამკვეთთან და სატყეოსთან |
| 3.1.2 | დამატებითი მოთხოვნა | მოჭრილი ხის ტოტების განთავსების საკითხის შეთანხმება ადგილობრივ სატყეო სამსახურთან |
| 3.1.3 | დამატებითი მოთხოვნები სამუშაო პროექტის შემუშავებისთვის | • მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება სფეროში;<br>• ძირითადი და დამხმარე ტექნიკური საშუალებების არსებობა (ა/მანქანები, ხერხები და ა.შ. შესაბამისი ხელსაწყოები და მოწყობილობები) |
| 3.2 | მომსახურების გაწევის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები: | სამუშაოების შესრულება მოქმედი ნორმებისა და წესების შესაბამისად; კომპანიის შრომის უსაფრთხოების წესები. |
| 3.3 | მომსახურეობის გაწევის პერიოდი: | დამკვეთთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. |
| 3.4 | მომსახურეობის გაწევის დაწყების თარიღი: | 2023 წლის 24 ივლისი |
| 3.5 | მომსახურეობის გაწევის დასრულების თარიღი: | დამკვეთთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. |